www.icon-society.ge

საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოება
ICON•S **საქართველო**

საჯარო სამართლის კონფერენცია
"ქართული საჯარო სამართალი და ევროპული ინტეგრაციის გამოწვევები"

28-29 სექტემბერი, 2024 - თბილისი, საქართველო

საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოება - ICON•S საქართველო, დაინტერესებულ პირებს იწვევს პირველ ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

კონფერენციის ფორმატი

2024 წლის კონფერენცია ჩატარდება ქ. თბილისში, 2024 წლის 28-29 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენციაზე არ არის დაშვებული ონლაინ პანელები. ყველა ინდივიდუალური მოხსენების ან პანელის ავტორმა საკუთარი ნაშრომები უნდა წარმოადგინონ თბილისში პირადად. წინასწარ რეგისტრირებულ სრულად ჩამოყალიბებულ პანელებს დისტანციურად შეიძლება შემოუერთდეს მომხსენებელთა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა, შემდეგი წესების მიხედვით: თითოეული პანელის თავმჯდომარე უნდა დაესწროს პირადად. თავმჯდომარე უნდა გახდეს პანელის ონლაინ მასპინძელი და პასუხისმგებელი დისტანციური პრეზენტაციის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე. 4 წევრიან პანელებზე ერთ მომხსენებელს, ხოლო 5 წევრისგან შემდგარი პანელებისთვის ორ მომხსენებელს შეუძლია დისტანციურად დასწრება.

კონფერენციის სტრუქტურა

კონფერენცია გაიმართება პლენარული და პანელური სესიების ფორმით. პლენარული სესია გულისხმობს 1-2 ან მეტი მოწვეული სპეციალური სტუმრის მოხსენებას, რომელსაც კონფერენციაზე რეგისტრირებული ყველა მონაწილე დაესწრება.

პანელური სესია კი გულისხმობს კონფერენციისთვის წარდგენილი პანელის წევრთა მოხსენებებს (5 მომხსენებელი), რომლებიც კონფერენციის განმავლობაში პარალელურად იმართება სხვადასხვა აუდიტორიაში და მასზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს კონფერენციის მონაწილეთაგან.

კონფერენციის პროგრამა მომზადდება ელექტრონული ფორმით, ქართულ და ინგლისურ ენაზე და განთავსდება ორგანიზაციის ვებგვერდზე.

მონაწილეობის ხარჯები

კონფრენციაში მონაწილეობისთვის არ არის დადგენილი სარეგისტრაციო გადასახადი. ყველა მონაწილე ინდივიდუალურად (მივლინება, უნივერსიტეტის გრანტი და აშ) უზრუნველყოფს კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯების (მგზავრობა, დაბინავება და სხვა) დაფინანსებას. ICON•S საქართველო უზრუნველყოფს მონაწილეთა კვებას (ლანჩი).

ICON•S საქართველო საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარება მონაწილეებს მგზავრობის, სასტუმროს დაჯავშნის, ასევე სხვა ტექნიკური საკითხების ორგანიზებაში.

პლენარული სესიის თემა და მოწვეული მომხსენებლებლები

პლენარული სესიის თემისა და მოწვეული სპიკერების შესახებ მოგვაინებით გაცნობებთ.

ინდივიდუალური მოხსენებები და პანელები

ყოველწლიური კონფერენცია გაიმართება პარალელური პანელური სესიების ფორმით, რომლებიც ჩატარდება კონფერენციის ორი დღის განმავლობაში და შედგება შერჩეული მოხსენებებისგან. ჩვენ ვიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირს შემოგთავაზონ სრულად ჩამოყალიბებული პანელები ან ინდივიდუალური მოხსენებები, რომლებიც ეხება საჯარო სამართლის ნებისმიერ სფეროს. პოტენციურ მონაწილეებს ვურჩევთ გაეცნონ ICON•S საქართველოს მისიას თავიანთი ნაშრომ(ებ)ისან პანელ(ებ)ისთვის თემის არჩევისას.

ვის შეუძლია კონფერენციაში მონაწილეობა?

ICON•S საქართველოს კონფერენციაში მონაწილეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ იურისტებით და არც ცნობილი მეცნიერებით. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე უცხოელებს. ჩვენ მივესალმებით მოხსენებებს, რომლებიც გვთავაზობენ მულტიდისციპლინურ პერსპექტივებს კონფერენციის თემებთან მიმართებით სამართლის სხვადასხვა სფეროდან (მათ შორის, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო და შრომის სამართალი), ასევე ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებიდან (მაგ. ისტორია, ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერება, სოციოლოგია). ჩვენ ასევე მივესალმებით მოხსენებებს როგორც უფროსი, ისე უმცროსი მეცნიერების (მათ შორის დოქტორანტების), ასევე დაინტერესებული პრაქტიკოსებისგან.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თითოეულ მონაწილეს კონფერენციისთვის შეუძლია წარმოადგინოს არაუმეტეს 2 ნაშრომი (ავტორი თუ თანაავტორი) და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს - როგორც მომხსენებელმა, პანელის თავმჯდომარემ, დისკუსანტმა - არაუმეტეს 4 პანელში, იმ პირობით, რომ შესაძლებელი იყოს პანელის იმგვარად დაგეგმვა, რომ ოთხივე პანელში ეს პირი შეძლებს მონაწილეობას.

პანელის წარდგენა

ჩვენ მივესალმებით სრულად ჩამოყალიბებული პანელების წარდგენას. სრულად ჩამოყალიბებული პანელის წარდგენის უფლება აქვს <u>მხოლოდ ICON-S საქართველოს</u>

<u>წევრებს.</u> სრულად ჩამოყალიბებული პანელის განაცხადი უნდა შეიცავდეს მინიმუმ სამ, მაგრამ არაუმეტეს ხუთ პრეზენტაციას მეცნიერთა მიერ, რომლებიც წინასწარ შეთანხმდნენ მონაწილეობაზე. 3 წევრიან პანელში უმრავლესობა, ხოლო 5 წევრიან პანელში მინიმუმ 3 მომხსენებელი უნდა იყოს უნდა იყოს **<u>ICON-S საქართველოს წევრი.</u>** ერთი პანელისთვის განკუთვნილი სამუშაო დრო როგორც წესი არის 90 წუთი.

პანელი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ასახავდეს ICON•S-ის ვალდებულებებს გენდერული ბალანსის, თაობათაშორისი დიალოგის, რეგიონული და პოლიტიკური მრავალფეროვნების მიმართ. აუცილებელია პანელის შემადგენლობაში მომხსენებლად წარმოდგენილი იყოს სულ მცირე ერთი ახალგაზრდა მეცნიერი (დოქტორანტი, მაგისტრი და აშ). პანელის განაცხადში უნდა მიეთითოს პანელის ერთი თავმჯდომარე, ერთი ან ორი დისკუსანტი, რომელიც შეიძლება იყოს პანელის თავმჯდომარე და/ან მომხსენებელი (თავმჯდომარის და დისკუსანტის როლი გულისხმობს მაქსიმუმ ხუთი ადამიანის უფლებას პანელზე).

ყველა სრულად ჩამოყალიბებული პანელი უნდა შეიცავდეს (ა) მომხსენებლების, (ბ) თავმჯდომარის და ასევე შეიძლება შეიცავდეს (გ) დისკუსანტების სახელებს. ასევე განაცხადში მითითებული უნდა იყოს პანელის თითოეული მონაწილის ICON•S წევრობასთან და/ან კონფერენციის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ელექტრონული ფოსტის მისამართი. ICON•S საქართველო კონფერენციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მონაწილეებთან კომუნიკაციას განახორციელებს მხოლოდ ამ ელ. ფოსტის მეშვეობით.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი პანელი მოიცავს 1 ან 2 დისტანციური მოხსენებას, გთხოვთ პანელის რეგისტრაციისას მოხსენების სათაურში მიუთითეთ თქვენი ნაშრომი წარდგენილია პერსონალური თუ ვირტუალური მონაწილეობისთვის.

ინდივიდუალური მოხსენებები

ჩვენ მივესალმებით ინდივიდუალური მოხსენებების წარდგენას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია კონფერენციის თემასთან ან ზოგადად საჯარო სამართალთან. თუ ნაშრომი მიიღება კონფერენციისთვის, იგი გახდება ICON•S-ის მიერ ორგანიზებული პანელის ნაწილი.

მოხსენების სრული ვარიანტი

კონფერენციაზე ფაქტობრივი ნაშრომების სრული სახით წარდგენა საჭირო არ არის. მონაწილე რეგისტრაციისას აგზავნის მხოლოდ მოხსენების აბსტრაქტს. კონფერენციის დასრულების შემდეგ, სათანადო რაოდენობის სრული მოხსენებების (სტატია) არსებობის შემთხვევაში, საორგანიზაციო კომიტეტმა შესაძლებელია განიხილოს მათი გამოქვეყნება კონფერენციის კრებულში. ამ შემთხვევაში კრებული გამოიცემა ISBN საერთაშორისო საგამომცემლო კოდით, ელექტრონული ვერსია განთავსდება ICON-S-ის ვებგვერდზე, შესაძლებელია კრებულის ინდექსირება google scholar-ის, ასევე სხვა საერთაშორისო ბაზებში.

საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იგივე ფორმით გამოქვეყნდეს მხოლოდ აბსტრაქტების კრებული.

კონფერენციის სერტიფიკატი

კონფერენციის ყველა მონაწილეს (მომხსენებელს) გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი.

პანელი უცხოურ ენაზე

საქართველოს კონფერენცია ძირითადად ჩატარდება ქართულ ენაზე, თუმცა შესაძლებელი იქნება უცხოელი კოლეგების მონაწილეობა ინგლისურ ენაზე. ამ შემთხვევაში მოხსენებები ან სრული პანელი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. უცხოელები საქართველოს კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სრულად საკუთარი ხარჯებით, შესაძლებლობის შემთხვევაში ორგანიზატორი უზრუნველყოფს კვებას (ლანჩი). კონფერენციის შესახებ სრული ინფორმაცია ინგლისურ ენაზე განთავსდება ICON•S საქართველოს ვებგვერდზე.

შერეული პანელი ქართველი და უცხოელი ავტორების მონაწილეობით

ინგლისურენოვანი პანელის გარდა, ჩვენ ასევე მივესალმებით ქართველი მეცნიერების მიერ თავიანთი უცხოელ კოლეგებთან ერთად ერთობლივი პანელების ორგანიზებას, რომელიმე ევროპულ ენაზეც. ასეთ შემთხვევაში პანელის ორგანიზატორი უზრუნველყოფს უცხოელი მონაწილის მოხსენების, კითხვების თუ დისკუსიის თარგმნას სხვა მონაწილეებისთვის საკუთარი პასუხიმგებლობით.

კონფერენციის მედია მხარდაჭერა და გაზიარება

კონფერენციის პროგრამა, ყველა სხვა ინფორმაცია განთავსდება ICON•S-ის, ასევე ICON•S საქართველოს ვებგვერდებზე. კონფერენციის ამსახველი ყველა ინფორმაცია (ფოტო, ვიდეო, ტექსტი) გამოქვეყნდება ICON•S საქართველოს სოციალურ მედიაში (Facebook, Twitter, Linkedin, YouTube), ასევე ICON•S შესაბამის პლატფორმებზე, რაც ხელმისაწვდომი იქნება გლობალურად, საერთაშორისო დონეზე ICON•S-ის წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. კონფერენციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება ICON•S-ის ბლოგზე http://www.iconnectblog.com და ICON•S საქართველოს ბლოგზე http://www.constitutionblog.ge კონფერენციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ვთხოვთ ჩვენს ორგანიზაციაში წარმოდგენილ უნივერსიტეტებს, ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კონფერენცია შესაძლებელია გაშუქდეს ტელევიზიით. გთხოვთ დაუკავშირდეთ საორგანიზაციო კომიტეტს თუ აკადემიური მიზნებისთვის ზემოთ აღნიშნულ პლატფორმებზე თქვენი ფოტოს გამოქვეყნების წინააღმდეგი ხართ.

როგორ და როდის უნდა წარადგინოთ განაცხადი?

ყველა განაცხადის წარდგენა უნდა განხორციელდეს ICON•S საქართველოს ვებგვერდის მეშვეობით **2024 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.**

****

2024 წლის ყოველწლიურ კონფერენციასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეკითხვისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით: iconsgeo@gmail.com

მალხაზ ნაკაშიძე, მაია კოპალეიშვილი
ICON•S საქართველოს თანათავმჯდომარეები